



**შემოსავლების
სამსახური**

თბილისი 0114, გორგასლის ქ. 16
ტელ: +995 (32) 226 11 19, +995 (32) 226 11 85
ელ. ფოსტა: info@rs.ge
ვებ საიტი: www.rs.ge
საბაჟო დეპარტამენტი

17933-21-10-2-202303061439

N 21-10/17933



<https://edoc.mof.ge/public/#/>

06/03/2023

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
აღსრულების ეროვნულ ბიუროს
თბილისის ბიუროს აღმასრულებელს**

მის: საქართველო, თბილისი 0131,
დავით აღმაშენებლის ხეივანი N99
ტელ: +995 32) 274 96 49

ბატონო გიორგი,

საბაჟო დეპარტამენტმა განიხილა თქვენი - აღსრულების ეროვნული ბიუროს 2023 წლის 3 თებერვლის წერილი N. , რომელიც ეხება სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმომადგენელთა არსებულ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 18.11.2022 წელს გაცემული სააღსრულებო ფურცელს (სააღსრულებო წარმომადგენლობა); რომლის თანახმად მოვალე შპს -ის, 2018 წლის 08 თებერვლის მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაეკისრა ლარის გადახდა -ის სასარგებლოდ.

წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ სააღსრულებო ფურცლის აღსრულების უზრუნველსაყოფად, 2023 წლის 02 თებერვალს, აღწერილი და დაყადაღებული იქნა ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, მე-4 მ/რ მიმდებარედ, ნაკვეთი 14/430, შპს ტერმინალი თბილისი (402050221)-ის განკარგულებაში არსებულ საბაჟო საწყობში (# B7-1) განთავსებული მოვალე -ის კუთვნილი მოძრავი ქონება -

1-ლი - 5990 ზოთლი. კორესპონდენციით დაისვა კითხვა - „იძულებითი აუქციონის ჩატარების შემთხვევაში, ქონების შეძენის მომენტიდან, კანონით დადგენილი რა პროცედურების (განმაჯგუფება, აქციზის გადასახადი ან სხვა ხარჯები) განხორციელების ვალდებულება წარმოიშობა შეძენის, შეძენილი ქონების საბაჟო საწყობიდან გატანისა და დანიშნულებისამებრ განკარგვის მიზნით?“.

წერილში მოყვანილი და შესწავლილი გარემოებებიდან იკვეთება, რომ საქონელი მიმდინარე პერიოდისთვის საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება, იმავდროულად პროცედურის მფლობელს რაიმე ვალდებულება საბაჟო ორგანოს მიმართ არ გააჩნია; ამასთან მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს კერძო სასამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში, მოგირავნის მიერ მოთხოვნის უზრუნველყოფის სამუალების - გირავნობის საგნის შესაძლო რეალიზაციას იძულებით აუქციონის წესით, რა დროსაც, საკუთრების უფლება გადავა პირზე - რომელიც გახდება პროცედურის ახალი მფლობელი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306⁶ მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, „აუცილონზე გაყიდული უძრავი ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებს ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდება საკუთრების გადასვლის მომენტისათვის ამ ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე“. ამდენად, საქონელი უცხოური საქონლის სტატუსის მატარებელია და ახალ მესაკუთრეზე საქონლის გადასვლა საქონელთან დაკავშირებულ აუცილებელ საბაჟო ფორმალიზებს არ ცვლის ქვემოთ ჩამოთვლილი არგუმენტების გათვალისწინებით, კერძოდ -

საქართველოს საბაჟო კოდექსის 70-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით - საქონელი მისი საბაჟო სტატუსის განსაზღვრამდე **რჩება საბაჟო ზედამხედველობის** ქვეშ და საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე მისი საბაჟო ზედამხედველობიდან გატანა **ან განკარგვა არ შეიძლება**. საბაჟო კოდექსის მე-6 მუხლის „უ“ ქვეპუნქტი **საბაჟო ზედამხედველობას** განმარტავს, როგორც საბაჟო ორგანოს მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლის მიზანია საქონლის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი **ვალდებულებების შესრულება**, ხოლო საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი შემოტანისთანავე ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას და შეიძლება დაექვემდებაროს საბაჟო კონტროლის პროცედურებს (საქართველოს საბაჟო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილი).

უცხოური საქონელი მისი საბაჟო სტატუსის შეცვლამდე, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანამდე ან განადგურებამდე საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ უნდა დარჩეს. საბაჟო კოდექსის მე-6 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის მიხედვით კი - **საბაჟო სტატუსი** არის საქონლისთვის მინიჭებული საქართველოს საქონლის სტატუსი ან უცხოური საქონლის სტატუსი.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, უცხოური საქონელი, რომელიც განკუთვნილია საქართველოში რეალიზაციისთვის, მოხმარებისთვის ან გამოყენებისთვის, უნდა მოექცეს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში, რაც იწვევს: ა) იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას; ბ) მის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებებისა და აკრძალვებისა და შეზღუდვების გამოყენებას, თუ ისინი მანამდე გამოყენებული არ ყოფილა; გ) მის შემოტანასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნების შესრულებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულია, რომ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას საქონელს ენიჭება საქართველოს საქონლის სტატუსი.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 114-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საბაჟო საწყობში მოქცეული ტვირთი წარმოადგენს **სპეციალურ საბაჟო პროცედურაში** მყოფ საქონელს, რა დროსაც პროცედურის მფლობელის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც დაკავშირებულია სპეციალურ პროცედურაში მოქცეულ საქონელთან, შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ გადაეცეს სხვა პირს, რომელიც ასრულებს ამ საბაჟო პროცედურასთან დაკავშირებულ პირობებს. ამავე კოდექსის 113-ე მუხლის პირველი ნაწილით კი, ამ კოდექსის 141-ე მუხლის გათვალისწინებით, სპეციალური პროცედურა, გარდა ტრანზიტის პროცედურისა, **დასრულდება**, თუ ამ პროცედურაში მოქცეული საქონელი ან გადამუშავებული პროდუქტი მოექცევა **სხვა საბაჟო პროცედურაში ან გატანილ (რეექსპორტირებულ)** იქნება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან.

ამრიგად, პირს, რომელსაც სპეციალური საბაჟო პროცედურის მფლობელობა გადაეცა, აქვს უფლება საქონელი მოაქციოს სხვა საბაჟო პროცედურაში (მათ შორის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება) ან გაიტანოს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ანუ განახორციელოს რეექსპორტი. წერილში დასმული საკითხი ეხებოდა აუცილებელ საბაჟო პროცედურებს, რომელიც საბაჟო ვალდებულებას წარმოშობს ისეთ სპირტიან სასმელზე, როგორიცაა არაყი. აღნიშნულის საპასუხოდ გაცნობით შემდეგს -

განსახილველ შემთხვევაში საუბარია აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას ექვემდებარე საქონელზე - არყის შესაძლო თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო პროცედურის გამოყენებაზე, რომელიც, იმავდროულად, წარმოადგენს აქციზით დასაბეგრ ობიექტს (საქ.საგადასახადო კოდექსის 183-ე მუხლი). საქონლის შემძენი ვალდებულია, აქციზით დასაბეგრი ოპერაციის ან/და საქონლის იმპორტის განხორციელებამდე, აგრეთვე ამ კოდექსის 190⁷ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქონლის შემძენი ან/და მიმღები პირისთვის გადაეცემდეს

აქციური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას დაუქვემდებაროს აქციით დასაბეგრი ალკოჰოლიანი სასმელი; **აქციური მარკების** რეალიზაციას ახორციელებს შემოსავლების სამსახური „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №996 -ის საფუძველზე. ამავე ბრძანებით განისაზღვრება **აქციური მარკების ღირებულება**, რომელიც შეადგენს:

ა) პროდუქციის სახეობის მიხედვით განსაზღვრული ალკოჰოლური სასმელებისათვის (იისფერი – აქციური მარკა, რომელზეც არსებობს სიტყვიერი აღნიშვნა პროდუქციის სახეობის შესახებ (არაყი) და წითელი აქციური მარკა, რომელზეც არ არსებობს სიტყვიერი აღნიშვნა პროდუქციის სახეობის შესახებ) განკუთვნილ 1000 (ათასი) ცალ აქციურ მარკაზე – 6,6 (ექვსი მთელი, ექვსი მეათედი) ევროს ოდენობით;

ბ) პროდუქციის წარმომავლობის მიხედვით განსაზღვრული ალკოჰოლური სასმელებისათვის (შვედნე ფერი, წარწერით „ადგილობრივი“ – ადგილობრივი წარმოშობის ალკოჰოლური სასმელის აქციური მარკა და ცისფერი ფერი, წარწერით „იმპორტი“ – იმპორტირებული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელის აქციური მარკა) განკუთვნილ 1000 (ათასი) ცალ აქციურ მარკაზე – 6.595 (ექვსი მთელი, ხუთას ოთხმოცდათხუთმეტი მეათასედი) ევროს ოდენობით; რომლის გაანგარიშება უნდა მოხდეს ანგარიშსწორების მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარებში.

საბაჟო ვალდებულების ნაწილს რაც შეეხება - არაყს (სეს ესნ 2208 60), საქართველოს საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის მიხედვით, უწევს

ა) **იმპორტის გადასახადი** 1.5 euro/%vol/HL, რაც ნიშნავს, რომ ერთ ჰექტოლიტრზე (100 ლიტრზე) გადასახადელი იმპორტის გადასახადის თანხა შეადგენს იმპორტის გადასახადის განაკვეთის ნამრავლს მოცემულ საქონელში ალკოჰოლის პროცენტული შემცველობის მაჩვენებელზე;

ბ) **აქციზი** - საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188¹ - მუხლით თანახმად შეადგენს აქციზის განაკვეთის, რომელიც შეადგენს 15 ლარის ნამრავლს სუფთა სპირტის რაოდენობრივ მაჩვენებელზე;

გ) **დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)** -18% დაანგარიშდება ბოლოს, საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

რაც შეეხება საქონლის დაბეგვრის ობიექტს, დაბეგვრის ობიექტია საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას **საქონლის საბაჟო ღირებულება** (საქართველოს საგადასახადო კოდექსი 196-ე მუხლი). თავისმხრივ, საქართველოს საბაჟო კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულია შემდეგი: „ის ფაქტი, რომ საქონელი გაყიდვის საგანია და დეკლარირებულია თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით, საკმარისია იმისთვის, რომ ეს საქონელი მიჩნეულ იქნეს საქართველოში საექსპორტოდ გაყიდულად. თუ საქონლის საქართველოში საექსპორტოდ გაყიდვის შემდეგ განხორციელდა ამ საქონლის გადაყიდვა (მათ შორის, საბაჟო საწყობში), საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება მისი საქართველოში საექსპორტოდ გაყიდვის ფასი.“.

საბიუჯეტო გადასახდელების გარდა, შემქნის, ასევე წარმოეშობა ვალდებულება საქართველოს მთავრობის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ 2010 წლის 30 მარტის დადგენილება №96-თი განსაზღვრული მომსახურების საფასური, რომელიც შეადგენს - 3 000 საბაჟო ღირებულების საქონელზე - დეკლარაციაზე - 100 ლარს; 3 000 -15 000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონელზე - დეკლარაციაზე - 400 ლარს, ხოლო 15 000 ლარს ზევით საქონლის საბაჟო ღირებულების მქონე საქონელზე - დეკლარაციაზე - 500 ლარს.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გაცნობებით, რომ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, რატიქაუნდა, წარმოშობს საბაჟო ვალდებულებას, თუმცა **პროცედურის ახალ მფლობელს**, მოცემულ შემთხვევაში საკუთრების უფლების შემქნის, უნდა

მიეცეს შესაძლებლობა, კანონისმიერი შეზოქვის ფარგლებში (აუცილებელი საბაჟო ფორმალობების შესრულების პირობით), სურვილისამებრ განკარგოს საქონელი, რაც ასევე გულისხმობს სტატუსის შეუცვლელად ტვირთის გატანის უფლებას საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან.

პატივისცემით,



საბაჟო დეპარტამენტის უფროსი 

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი